

ზმნის ზოგიერთი თავისებურება ტაოურში

ავტორი: მაია ბარამიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველო, 6010, ბათუმი, ნინოშვილის 35

E-mail: maia.baramidze@bsu.edu.ge

ავტორი: მამია ფაღავა

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველო, 6010, ბათუმი, ნინოშვილის 35

E-mail: mamia.paghava@gmail.com

საკვანძო სიტყვები: ტაო, დიალექტი, ზმნის პირი, რიცხვი, გვარი.

ანოტაცია

სტატიაში განხილულია ზმნის ზოგიერთი თავისებურება ტაოურ დიალექტში, კერძოდ:

ა. ტაოურ კილოში სუბიექტური მეორე პირის ნიშნებია ხ'-, ჰ'-, ს'- პრეფიქსები: ჩახყრი, შეჭჰამ, მისტყეჰავ. იგივე მაწარმოებლები იხმარება ობიექტური მესამე პირის ნიშნებად: ჩავხყრი, დაავჰჰრი, სჰამენ...

ბ. ტაოურში მესამე პირის სიმრავლის გამოსახატავად ხშირია -ან, -ენ სუფიქსების გამოყენება: აქვან (შდრ. აქვა[ნ]), ჯერავენ...

-თ სუფიქსის ნაცვლად -ეს იხმარება უწყვეტელში: ქონდეს, მიჰყავდეს...

გ. მომავალი დროის გამოსახატავად გამოიყენება კავშირებითი მწკრივის ფორმები: დათესო, გააპტყელო...

დ. ტაოურისათვის დამახასიათებელია ზმნისწინთა მონაცვლეობა:

გა:და: გაჰკვიანდენ (გიყები). შდრ. დაჰკვიანდენ); გა:ჩა: გაყარა (წყალში. შდრ. ჩაყარა)...

ე. მონაცვლეობენ თემის ნიშნები:

ი:ავ: აწონავ (შდრ. აწონი), ვყიდავ (შდრ. ვყიდი)...

ოზ:ავ: იბანავ (შდრ. ბანაობ)...

ეზ:ავ: დასტაცავს (შდრ. დასტაცებს)...

ავ:ეზ: ილოცებს (შდრ. ილოცავს)...

უთემისნიშნო ზმნებს დაერთვის -ავ: სწერავთ (შდრ. სწერთ)...

ვ. თავისებურებები შეინიშნება ზმნის გვარის ფორმათა წარმოებაში: ე პრეფიქსიანი ვნებითი ცვლის დ' სუფიქსიანს: ეთხვება (შდრ. თხოვდება)...

ზ. მნიშვნელოვანი თავისებურებები ვლინდება ზმნის მწკრივთა წარმოებაშიც...

ყველა მახასიათებლის გათვალისწინებით ტაოურს ცალკე დიალექტად გამოვყოფთ.

შესავალი

ტაოს მკვიდრთა გადარჩენილ ქართულ მეტყველებაში გვხვდება ბევრი თავისებურება, რომელთაგან ზოგი არქაული ქართული ენისათვისაა დამახასიათებელი, ზოგი ქართული ენის სხვა კილოებთან არის საერთო, ზოგიც კიდევ ტაოური დიალექტის თავისებურებას წარმოადგენს.

სტატიაში ვისაუბრებთ ზმნის ზოგიერთ მახასიათებელზე ტაოურ დიალექტში.

ძირითადი ნაწილი

1. პირისა და რიცხვის ნიშნები

პირის ნიშნების გამოყენების მხრივ ტაოურში, ისევე როგორც ზოგადად სამხრულ კილოებში, ძველი ქართულისებური ვითარება ჩანს (იხ. ცინცაძე, ფაღავა 1998: 53).

სუბიექტური მეორე პირის ნიშნებია ხ²-, ჰ²-, ს²- პრეფიქსები:

ხ-: აქიდან **ჩახყვები** ასე, - ხამფიან კარი... (ფიშნარხევი); იქიდან **შუმოხყვებით**, ხევადსი, დევთისაჲ... (ხევეკი). ეს ზმნები ერთპირიანებია, ნიშნავს - ჩაივლი, ჩამოივლი, შემოივლი.

ხარული - ქერ **ჩახყრი**, ლაზუთ **ჩახყრი** (ქუაბაგი); არაა და **ხკითხე!** (ხევეკი)...

ჰ-: ...ონდასონრა **ჩაჰყრი** შიგან (ქონობანი); თემელში ყურბან **დაჰკლი** (ქუაბაგი);ერბო მასხამ, **შეჰჰამ** (ქონობანი); თემელ **გაჰთხრი**... (ქუაბაგი)...

ს-: ...თირფან **მოსტყეპავთ** (ქუაბაგი); ამას [კარს] **მისძრავ**, ამა - გადააბრუნებ, დადგება (ქუაბაგი); ...კაკალი - **დასწერე** მი? (ბინათი)...

ტაოურსაც დაუცავს მესამე პირდაპირ ობიექტური პირის პრეფიქსები - **ხ-, ჰ-, ს-**. ეს პრეფიქსები გვხვდება როგორც მიცემით ბრუნვაში მდგომ, ისე სახელობითბრუნვიან პირდაპირ ობიექტებთან (შდრ. ფაღავა და სხვ. 2011: 251).

პირდაპირი ობიექტი მიცემით ბრუნვაში:

ხ-: იქა დავლინიდით, ძარაში **ჩავხყრიდით**... (ქუაბაგი); ზაზაჲ **ვხკითხე**, არ იყო (ხევეკი)...

ვხკითხე' ამ კონტექსტში ორპირიანია (ვიკითხე'ს მნიშვნელობითაა).

ჰ-: ყიზართმა - ქათამ **ჩავჰყრით** ტეფსიში (ქონობანი); ...არა **ვჰყიდავთა** (ცუცეკარი); ...**დავჰჰრით**, ვადუღებთ, იმა **შევჰჰამთ** (ელისახევი); იმა **შევჰჰამთ** (ქონობანი); კედსა შიგან **ჩაჰღებენ**... (ხევეკი)...

ს-: აყრო მეხარშვის წყალში და ისე **სჰამენ** (ცუცეკარი); თაფი, ქალიდზე **დასწერდენ** (სადგიყანა)...

ხშირია ს' პრეფიქსის ასიმილირებული ვარიანტი შ'-:

...კანალში ჩადებდა წყალში, ქეშიში მოვდოდა, **შეშჰამდა** (ფიშნარხევი); ...მერე ყურბან **დავშჰრით** (ბასლეკარი)...

გვხვდება უნიშნო ფორმებიც, ერთ წინადადებაში პარალელური ფორმებია:

ვჰყიდავთა, ედა დათვები **ჰამენ** (ცუცეკარი); ოჯალში **დაჰღებს**, დაჯოხავს პაწა-პუწასა, **მიცემს** ცეცხლსა (ხევეკი)...

პირდაპირი ობიექტი **სახელობით ბრუნვაში**.

ჰ-: ღმერთისთვის **დავჰკლათ** რამენი ცხვრები (ელიასხევი); ...ჩვენ არ **დავჰკარგეთ** [ქართველობა] და ახლა რატომ და **დავჰკარგო?** (ხევეცი)...

ს-(>შ): ...**ავსწიეთ** თეთრი, აბლი წამოვღეთ (ელიასხევი); ...**დავსტყვიპეთ** და მოველით (ხევეცი); იმან კაცი **დეიმჭიროს**, მააკდენს, **შემჭამს** (ფიშნარხევი).

ჰ-, ს- პრეფიქსები ენაცვლება ერთმანეთს ერთი და იმავე პირის მეტყველებაში სხვადასხვა ზმნისწინიან ერთსა და იმავე ზმნაში: აღარ გეტყვი, აბა რამდენჯერნა **ჩასწერო?! ამან დაჰწერა**, ამან! (ხევეცი).

პირის ნიშანთა მონაცვლეობისთვის საინტერესო მაგალითია კომპოზიტად ქცეული ორიენტაციის მიხედვით დაპირისპირებული ზმნა **გაჰკარ-გამოხკარ'**: ღრუბელო, **გაჰკარ-გამოხკარ**, ზის თვალი გამაჩინე (ხევეცი).

სამხრული კილოებისათვის დამახასიათებელია **-თ** და **-ს** სუფიქსების ნაცვლად **-ან**, **-ენ** სუფიქსთა გამოყენება. დიალექტებში ამ სუფიქსთა ფუნქციის საკითხის გარკვევა ქართული ენათმეცნიერების ერთ-ერთ მნიშვნელოვანი პრობლემაა. აღნიშნულ საკითხს არაერთი მკვლევარი შეხებია (იხ. ფალავა და სხვ. 2016: 550; შდრ. ჯორბენაძე 1989; სურმავა 1989; ცეცხლაძე 2014; ფარტენაძე 2014).

ტაოურ მეტყველებაშიც **-ან**, **-ენ** აფიქსთა გამოყენების არეალი საკმაოდ ფართოა და პირთა კომბინაციებიც ჭრელი, მათი ფუნქცია კონტექსტის მიხედვით უნდა განისაზღვროს.

-ან სუფიქსი ხშირად გვხვდება **აქვს** და **ჰყავს** ზმნებთან პირთა სხვადასხვა კომბინაციაში. დავიმოწმებთ მაგალითებს:

მუშაობენ, იქ საქმეები **აქვან**... (ქუაბაგი); ვინცხას ზროხები, ფურები **ყავან**, იქა არიან (ბასლეკარი); ...აქ მოსულან, აგარა არ **აქვან** (ბასლეკარი); შენ **გყავან** ხენჭები? (ქუაბაგი); ...მეც **მაქვან** სახლი სამი ყათი (ქუაბაგი); ორი ძმა **მყავან** (ქუაბაგი).

გვხვდება მხოლოდ **-ა' (<ან')**:

თაროზე ყველი **მაქვა**... (სადგიყანა); ფული მეც **მაქვა**; თავში არ **აქვა**, აქ მევეყანეთ, დაჰკვიანდესო (ხევეცი)...

-თ' სუფიქსის ნაცვლად ტაოურში, ისევე როგორც სხვა სამხრულ კილოებში, ორმაგ **-ანან'** სუფიქსს დაითავს **უნდა'** ზმნის სხვადასხვა პირის ფორმა (იხ. ფალავა და სხვ. 2016: 552):

გშია, პური ვჰამოთ, რომელიცხა **გინდანან**, ჰამეთ (ელიასხევი); აქ ჯიმჰველები არიან, აქ მოსლა არ **უნდანან** (ქისქიმი).

უნდას' ანალოგიით-**ანან'** სუფიქსს დაითავს **აქვს'** და **ჰყავს'** ზმნის სხვადასხვა პირის ფორმა (შდრ. ფალავა და სხვ. 2016: 552):

ფურები **გყუანან** ჩუენა (ქუაბაგი); ბუზდოლაბი **გაქვანან** იქ [ბელელში] (ბინათი).

-ან გვხვდება ობიექტური წყობის ინვერსიულ ზმნებთან პირთა სხვადასხვა კომბინაციაში:

ე ქალები დაბერნეს, აღარ **ესმიან** (ელიასხევი); დაშლი აღარვინ არი, ორნი არიან, იმათაც არ **ესმიან** (ქონობანი); ზოგს არ **უხდებიან** [წამალი], მე არ დევჯერე (ქუაბაგი).

ტაოურში, ისევე როგორც სამხრულ კილოებში, I თურმეობითის მრავლობითის ფორმებში **-თ'**ს ნაცვლად სხვადასხვა ჯგუფის ზმნაში ჩვეულებრივია **-ან** სუფიქსი (იხ. ფალავა და სხვ. 2016: 552):

...ენჯამი არ უღალატნიან (ცუცეკარი); მაშინ რა უქნიან? უყრიან გარესკე (ელიასხევი); ...უთქვიან კი, მოდიან თურქელები... (ელიასხევი); მაშინ ბეური ფულები ქონებიან, ალთუნი ფულები (ელიასხევი); ისინი მიწაში ჩუუდვიან, გამქცარან (ელიასხევი)...

-ენ' სუფიქსი ცვლის -თ' სუფიქსს აქვს' ზმნის უწყვეტლის მწკრივში: აგრები მაილა ქონდენ (ქუაბაგი).

-ენ' სუფიქსი -თ' სუფიქსის ნაცვლად არის აწმყოს მწკრივში სხვა ზმნებთან: ჯერავენ, არ ჯერავენ, ჰამა დუნახიან ქი. ...არ ჯერავენ ქი (ელიასხევი).

მოსალოდნელი -თ' სუფიქსის ნაცვლად ობიექტური წყობის უწყვეტლის მრავლობით რიცხვში პირის ნიშნად არის -ეს':

ახლა სხუა სოფლებიდან ფული დაჭირდებოდეს, მეტანებდენ ოქრო, იმა ახურდავებდა (ელიასხევი); მაილები ქონდეს, ახლა აღარ მიდიან (წითლეკარი); სასმელი წყალი მიჰყავდეს და არ იქნა (ქუაბაგი).

დასავლური ჯგუფის დიალექტებისთვის დამასახიათებელია -ნენ' სუფიქსის ნაცვლად -ენ'-ის გამოყენება, რაც ფორმათა უნიფიკაციის ტენდენციით აიხსნება (ჯორბენაძე 1989: 529), ასევე სამხრულ კილოებში. ტაურში უწყვეტლის, პირველი ხოლმეობითისა და წყვეტილის მწკრივებში მოსალოდნელ -ნენ' სუფიქსს ენაცვლება -ენ'-ი.

დედედ და ნენედ ლაპარიკობდენ [ქართულად] (ბინათი); ...ფილავ წეიდებდენ სახლიდამ... (ელიასხევი); მეტანებდენ ოქრო, იმა ახურდავებდა (ელიასხევი); მე მევესწარი, იქ ხლისტიანები იყვენ (ელიასხევი); მემრე წევდენ (ელიასხევი).

ენ' სუფიქსი არის -ეს'-ის ნაცვლად გარდამავალი ზმნის წყვეტილში:

დედეებმა, ბაბოებმა გვითხრენ (ხევეკი)...

საკმაოდ ხშირად -ეს' სუფიქსი ძველი ქართულის მსგავსად დასტურდება უწყვეტლისა და წყვეტილის მესამე პირის მრავლობითი რიცხვის ფორმებში როგორც გარდამავალ, ისე გარდაუვალ ზმნებში (ცინცაძე 2002:187; ფუტკარაძე 2016: 296):

ასი თავი ცხვარი იქნებოდეს, ...ზღაფხულჩი არ წევდოდეს სამუშაველა, ასაღებელა (ელიასხევი); ზამთრი მოვდოდეს (ცუცეკარი); თქვენებურები მოსულიყნეს ყეზაში, რასმე იღებდეს და ჩვენებურა ხვა'ათობდეს (ქონობანი); ვილლა ააშენე, მეტყოდეს (წითლეკარი)...

გურჯები ჰა წვენეს? - იყნეს და გადაბრუნდეს... (ქისქიმი); ათ და ხუთი კაცი იყნეს და შეშიდენ (ცუცეკარი); ჩვენ გიგეყარნეს გომოველთ აქო, ჩვენს უკან არ დასხნეს, გიგეყარნეს, იქ ჩადირი დადგეს (ქუაბაგი)...

ამ უკანასკნელი წინადადების ზმნა გი-გ-ე-ყარ-ნ-ეს' სხვა მხრივაც იქცევს ყურადღებას: 1. ზმნაში დაცულია მოქმედებითი გვარისაგან გადმოყოლილი პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის -ენ(>-ნ) სუფიქსი (იხ. ქვევით მსგავსი ფორმების შესახებ); 2. პირველი ობიექტური პირი მრავლობითი რიცხვისა ზმნაში მეორე პირის გ- პრეფიქსითაა გადმოცემული: ჩვენ გი-გ-ყარნეს.

როგორც ზემოთ დავინახეთ, უწყვეტლისა და წყვეტილის მესამე სუბიექტური პირის მრავლობითის საწარმოებლად არქაული -ეს სუფიქსი პროდუქტიულია. ამ ფორმათა შესახებ შ. ფუტკარაძე აღნიშნავს: „თუ იმერხეულსა და ლივანურში (შესაბამისად: შავშურსა და კლარჯულში - ავტ.) ამ მოვლენის ნაშთებია სამეზარი, ტაოს მეტყველებაში „ეს“ ბოლოსართი ჯერ კიდევ მკვიდრადაა როგორც გარდამავალ, ისე გარდაუვალ ზმნებთან“

(ფუტკარაძე 2016: 296). აღნიშნავთ, რომ იმავე პოზიციაში -ეს სუფიქსი სპორადულად გვხვდება აჭარელ მუჰაჯირთა მეტყველებაშიც.

პირველი ობიექტური პირის მრავლობითი რიცხვი ძირითადად აღნიშნება გვ-პრეფიქსით, თუმცა არქაული გუ'-პრეფიქსიც არაიშვიათია, ასევე გვხვდება მ-პრეფიქსით აღნიშვნის შემთხვევებიც (იხ. ფუტკარაძე 2016: 297):

აქ უწინ გურჯი წამუვდოდა, იმალოდენ, გვეტყოდეს და იმალოდენ (ხევეკი); იქიღამ... მოკლე გზა გუაქ (ცუცეკარი); ...ჩუენ არ გუდკითხია, არ ვიცით (ქუაზაგი); ...კაა გუეჩვენება ჩვენი ადგილები (ელიასხევი)...

ერთი პირის მეტყველებაში პარალელური ფორმებია გუ-//მ-: ჩუენც გუდნდა ბათუმში წამოსლა. ...ჩვენც დამვიწყდა (ბასლეკარი).

მოქმედებითი გვარის ზმნაში წარმოდგენილია პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის აღნიშვნელი -ენ' სუფიქსი:

ძველათ აქვერის წინ მოსული კაცი ყოფილა, მის მერე გავყარენით აქვერობა, სხუანი ამოვებენ (ელიასხევი).

მრავლობითად არის გაგებული აქვერობა'. იმავე პირის მეტყველებაში მომდევნო წინადადებაში იგივე ზმნა -ენ'-ის გარეშეა:

დედეს ვინცხას უშენებია, უშენებია, ამდენი შიშა მუუწიკია, ჩუენ გავყარეთ... (ელიასხევი).

როგორც ვიცით, ძველი ქართულის ნორმათა მიხედვით, აღნიშნული -ენ'(>-ნ') სუფიქსი მოქმედებითი გვარის ფორმათაგან გადაჰყვება პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ზმნებს მეორე სერიის მრავლობითი რიცხვის ფორმებში.

ტაოურში წყვეტილის მრავლობითი რიცხვის ფორმებს დაუცავს ეს -ენ'(>-ნ') სუფიქსი:

აბლი, აბლი გედევცვალენით (ხევეკი); აქ დევბადენით, აქ გევზარდენით და კაა გუეჩვენება ჩვენი ადგილები (ელიასხევი); დეიღალენით? (ელიასხევი)...

2. მომავალი დროის გადმოცემა

ტაოურ დიალექტში, ისევე როგორც შავშურსა და კლარჯულში, მომავალი დროის გადმოსაცემად ზმნისწინიანი აწმყო (=მყოფადის მწკრივი) პარალელურად გამოიყენება კავშირებითის მწკრივები (იხ. ფალავა და სხვ. 2011: 253; ფალავა და სხვ. 2016: 553; შდრ. ფალავა და სხვ. 2017: 232).

ზმნისწინიანი აწმყო (=მყოფადი):

ბებერი გაპარცავს დათვსა, მერე გაჩეჩავს, შექნის ნართსა, დართავს კედს (ხევეკი); ის ხალხი მოიკრიფებიან, გამუალთ აქა, დავჰკლავთ, დავჰჭრით, ვადუღებთ, იმა შევჰჭამთ (ელიასხევი)...

როგორც ვიცით, კავშირებითის მწკრივებით მომავალი დროის გადმოცემა დამახასიათებელი იყო ძველი ქართული სამწერლობო ენისათვის.

მომავალი დროის გადმოსაცემად შავშურ-კლარჯულის მსგავსად გამოიყენება მეორე კავშირებითის ფორმები:

თომათესი, მარული... დათესო, იმა ბოსტან ეტყვიან (ქონობანი); ...იმა კარგა ჰასილ მისცემ, ონდასონრა გააპტყელო უჭრაფთა... (ქონობანი); ქართველ ვარ, ქართველ ვიყო, სისხლი არ იცლება (ელიასხევი); ახალმა მუხტარმა, დავდგეო, ეს საქმე'და გავასწოროო... (ელიასხევი)...

ერთსა და იმავე წინადადებაში მომავალი დრო გადმოცემულია მეორე კავშირებითა და ზმნისწინიანი აწმყოთი:

სობას ზედამ **დადგამ**, გაცხელდეს, საწურავის შიგან და მოწურო, მარილიც'ნა **გუურო**, **გაახმო**'ნა, შიჭამო (ბალხიბარი); მალი, ძროხები სახში ყავან შეყრილი, კარში **ნახოს**, **შემჭამს** (ფიშნარხევი); ...ჩუენ **გავთავნეთ**, **მოვკვდებით**, გურჯიჯა აღარ იქნება (ბალხიბარი); ...ჩირდილში **გავა** და რა **დეინახოს**: სხვა დათვებთ აქვან დუგუნი (ხევეცი)...

3. ზმნისწინი

ტაოურში, როგორც პირიან ფორმებში, ისე სახელზმნებში, ზმნისწინთა მონაცვლეობის სხვადასხვა შემთხვევა დასტურდება. დავასახელებთ რამდენიმე გავრცელებულ შემთხვევას.

გა'- ზმნისწინი **და'**- ზმნისწინის ნაცვლად:

...იქ გიჟები ყოფილან, **გაჭკვიანდენ**, აქ მოდენილან (ფიშნარხევი); ...დიდ ოდას მოტალახავდენ, ცეცხლ **განთებდენ** (სადგიყანა)...

ერთგან **და'**-ს ენაცვლება **გა'**- ზმნისწინის არქაული ვარიანტი - **გან'**:-

...კად წევდეს ყველაფერი ზღაფული ისე **განმთავრდეს** (ქუაბაგი).

გა'- ზმნისწინი **ჩა'**- ზმნისწინის ნაცვლად: აბა წყალში **გაყარაა?** (ქუაბაგი).

თანამედროვე ქართულში **სვენ'** ფუძესთან გვხვდება **და'**- ან **მო'**- ზმნისწინები (**დასვენება'** - **დაისვენოს**, **მოსვენება'** - **მოისვენოს**), ძველ ქართულში კი მას **გან'**- ზმნისწინიანი ფორმა შეესაბამებოდა. ტაოურს დაუცავს არქაული ვითარება:

...გულმა რა'ნა **გეისვენოს?! (სადგიყანა).**

გეისვენოს' ასიმილაციით (**გან>გა; გაი>გეი>გემ**) მიღებული ფორმაა (იხ. ცინცაძე, ფალავა 1998: 60-61; ფალავა და სხვ. 2011: 254).

სხმა' ფუძეს ზოგჯერ მოსალოდნელი **წა'**- ზმნისწინის ნაცვლად ერთვის **გა'**:

შარშან ჩემ ბიჭმა **გაგასხა?** აბა ჩემ ბიჭმა რომ **განასხა** გურჯები, ვინ იყვენ? (ფიშნარხევი); ...იმ ემეში დარჩნეს [ცხვრები], იქ ვერ **გაასხეს** (ქისქიმი). შდრ.: ბგანები **წამასხი**, შეჭა'მე ზღაფული ვაშლი (ბალხიბარი); ზღაფულში თაში **წასხმიდეს** ჰადვანს (სადგიყანა)...

ლექსიკურად **გასხმა** და **წასხმა** სხვადასხვაა: **გაასხა** ნიშნავს - **გაიყვანა** (გაღმა, გარეთ...), **წაასხა** - **წაიყვანა**. ტაოურში ორივე მნიშვნელობას ხშირად **გა-** ზმნისწინიანი ფორმა გადმოსცემს.

სხმა' პირდაპირი ობიექტური პირის რიცხვის მიხედვით მონაცვლე ფუძეა **ყვანა'** ზმნისა. ადამიანის მიმართ ის დღეს თითქმის აღარ იხმარება. ტაოურს დაუცავს არქაული ვითარება. აკ. შანიძე აღნიშნავს, რომ „იშვიათად გვხვდება ამ ფუძეების შენაცვლებაც პირდაპირი ობიექტური პირების რიცხვის მიხედვით: შვილი ქალაქს წაიყვანა, ცოლ-შვილი ქალაქს წაასხა; „გამოასხა ერი იგი“ (მ. 9, 25); ეგრე უთხრა: ძმანო ჩემნო, აქ მომიცადეთო. მე წავალო და აქლემებს წავასხამო. თუ მშვიდობით გავიარო, კიდევ გამოვივლიო და თქვენც წაგასხამო“ (რუსუდ, 51, 24-25) ...ასეთი შენაცვლება თითქმის გადავარდა ხმარებიდან. **წასხმა** ეხლა შეიძლება მხოლოდ საქონელზე ითქვას...“ (შანიძე 1980: 504-505).

სხმა' ფუძეს ერთვის სხვა ზმნისწინებიც ორიენტაციისა და მიმართულების გამოსახატავად.

მო- (>მა- მუ-) და **და-** ზმნისწინები სააქეთო ორიენტაციას გამოხატავენ:

აქ **მასხმენ** [პირუტყვს] (ფიშნარხევი); არაბა მიხყავს, **მასხამს** (გოდდეკარი); გურჯები **მუასხი** და! (იეთი); ვინ **დაგასხათ** (=მოგიყვანათ) აქა? (ფიშნარხევი).

ჩამო- (>**ჩამა-**) ზმნისწინის დართვით გამოხატულია ზემოდან ქვევით მიმართულება:

ჩამოასხეს საქონელი (ელიასხევი); იქობაში - თევნარში აძოვებდეს, სოფელ **ჩამაასხმიდეს**. ჯარები თაში დაწვებიან. ძროხები და პირტყვები **ჩამაასხმიდეს** სახლში (ქონობანი). (შდრ. ფალავა და სხვ. 2011: 264).

მო- ზმნისწინი **გა-** ზმნისწინის ნაცვლად:

იქ ბევრ მთხოვენ, ჰამა არ ვყიდავ, **მოაკეთონ** კარგა (წითლეკარი).

მო- და- ზმნისწინის ნაცვლად:

მოცვა უნდა, შუბერო'და, ისე იქნება (ფიშნარხევი); ეს **მოლლა** არი (იეთი); აი მუშაობსა და **მოღალულია** (ბალხიბარი).

მო'- შე'- ზმნისწინის ნაცვლად:

...მუშაობა **მომაგნეს** (ბალხიბარი); მე უწინ არაბა ვარუნე, **მომმაგდა...** (ქუაბაგი); იქ **მევერებოდით** ძველად, მესელა, იქ **მევერებოდით** (ქონობანი).

და- მი- ზმნისწინის ნაცვლად:

...ჰეფ ესკიდან **დაჩოულან** (ქონობანი).

და ზმნისწინი გამოხატავს, მოქმედების ინტენსივობას და ობიექტის სიმრავლეს:

წინწინ ქალოცას ყურძენ **დაგვრეფდით** (ობლეკარი); ...საფხანაჲ, ცხენ **დაფხანდით** (ხევეკი); ესენი თოჯები. ჰემ ჭრისა, ჰემ **დათხარებს** (ობლეკარი)...

ზმნისწინთა მონაცვლეობის ანალოგიური შემთხვევები დასტურდება სხვა სამხრულ კილოებშიც.

ყურადღება გვინდა შევაჩეროთ ტაოურ მეტყველებაში დადასტურებულ **მიგაპრის'** ფორმაზე, რომელიც ძველი ქართულის ნაშთად მიგვაჩნია:

იმან ხისიმი-მისიმი თამ არ იციან, სახში შამუა, **მიგაპრის** (ფიშნარხევი); ბალხში სახში შეხვალ, **მიგაპრის** (ფიშნარხევი)...

ვიციტ, რომ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში **მი-**, **მო-** ზმნისწინების ფუნქციაა **ორიენტაციის** გამოხატვა. **მი-** ზმნისწინი გამოხატავს ორიენტაციას, რომელიც პირველი პირიდან მესამე პირისკენ მიემართება (მისცა, მიიყვანა, მისწერა...), **მო-** ზმნისწინი კი - საპირისპირო ორიენტაციას - მესამე პირიდან პირველი პირისკენ (მომცა, მომიყვანა, მოწერა...). მეორე პირისკენ მიმართული (პირველი პირიდან იქნება თუ მეორე პირიდან) მოქმედების გამოსახატავი საშუალება ქართულ ენას არ გააჩნია. ახალ ქართულში ამ შემთხვევაში **მო-** ზმნისწინი გამოიყენება, რადგან მეორე პირი პირველი პირთან ახლოს იგულისხმება (მოცვა, მოგიყვანა, მოგწერა...) (შანიძე 1980: 246-247; იმნაიშვილები 1996: 9).

რაც შეეხება ძველ ქართულს, ავ. შანიძე წერს: „ძველად მე-2 პირისკენ მიქცეული მოქმედება გარკვეულ შემთხვევებში **მი'**თი გადმოიცემოდა („ესე ყოველი მიგცე“, მ. 4, 9...). მაგრამ დღეს ასეთ მოვლენას ადგილი აღარ აქვს“ (შანიძე 1980: 246-247). ივ. და ვ. იმნაიშვილები აღნიშნავენ, რომ ზოგან მეორე პირი **მო-** ზმნისწინს იყენებს: „ვინ **მოცვა** შენ ჰელმწიფებაჲ ესე (მ. 21, 23); მამაჲ შენი, რომელი ჰხედავს დაფარულთა, **მოგაგოს** შენ ცხადაჲ (მ. 6,4, 6, 18)... მაგრამ უფრო ძველ ვითარებას ასახავს საწინააღმდეგო შემთხვევები, როცა მეორე

პირისათვის მი-ზმნისწინა გამოყენებული. ეს არის სწორედ ძველი ქართულისთვის ნიშანდობლივი და დამახასიათებელი“ (იმნაიშვილები 1996: 9). მი- ზმნისწინი ძველ ქართულში უფრო მორგებულად არის გამოყენებული, ვიდრე ახალ ქართულში. აქედან იქით მიჰგუარეს, მიუთუალეს... ასევეა პარვა' ზმნის პირიან და უპირო ფორმებშიც: რადასათვს მიმპარეთ ბარძიმი ჩემი ვეცხლისად (დაბ. 44,4); ვინ-მე რაა მიმპარა საუნჯე იგი (სინ. 98,15); ხოლო უკუეთუ ჭემმარიტად გნებავს, რადათა არავინ მიგპაროს საფასე შენი, ქმენ, ვითარცა მე გასწაო, ...დაჰვალ იგი მუცელსა შინა გლახაკთასა, და უკუნისამდე ვერვინ მიგპაროს იგი (სწავ. 89, 18-20) (მაგალითებს ვიმოწმებთ ივ. და ვ. იმნაიშვილების მიხედვით. იმნაიშვილები 1996: 11).

მამსადადამე, ტაოურს ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც დაუცავს არქაული ვითარება - მიგიპრის' ძველი ქართულის ნაშთია. შდრ. შავშური: გოგოს უნდა, მომიპარეო, ეტყვის; დიმიწახა, მიმიპარა, კაი ბიჭი იყო (ჩაქველთა) (ფალავა და სხვ. 2011: 255).

4. თემის ნიშანთა მონაცვლეობა

ცნობილია, რომ წყებას ზმნებისას ფუძეზე ერთვის თემის ნიშნები, რომლებიც მკვიდრია ამა თუ იმ ზმნასთან, მაგრამ ზოგჯერ ცოცხალი კილოების გავლენით თემის ნიშანთა ხმარებაში შეინიშნება მერყეობა. დიალექტებში მათი მონაცვლეობის არაერთი შემთხვევა დასტურდება (იხ. შანიძე 1980: 408; ნათაძე 1959: 129). ამ კუთხით სამხრულ კილოებზე დაკვირვება ჭრელ სურათს გვამლევს (იხ. ფალავა და სხვ. 2011: 255-257; ფალავა და სხვ. 2016: 554-560; ფალავა 2014: 3-8; ბარამიძე 2015: 60-67; ფალავა და სხვ. 2017: 234-236; ნიჟარაძე 1975: 146-147...).

თემის ნიშანთა მონაცვლეობის შესახებ გ. გოგოლაშვილი წერს: თუ თვალს გავადევნებთ ქართული ზმნის ფორმობრივი განვითარების გრძელ გზას, აშკარად დავინახავთ: თემის ნიშანთა სისტემა ერთ-ერთი ყველაზე არამყარი, ცვალებადი სისტემაა, თუ თანამედროვე ქართული ენის დიალექტებს ამ მხრივ გადავხედავთ, სურათი კიდევ უფრო შთამბეჭდავი იქნება (გოგოლაშვილი და სხვ. 2011: 667).

კლარჯული კილოს ზმნის დახასიათებისას აღვნიშნავდით, რომ გ. გოგოლაშვილის „ეს მოსაზრება სამხრულ კილოთაგან განსაკუთრებით ვრცელდება კლარჯულზე“ (ფალავა და სხვა 2016: 555). თითქმის ანალოგიური ვითარებაა ტაოურშიც. განსაკუთრებით შესამჩნევია სხვადასხვა ტიპის ზმნებთან -ავ თემის თემის ნიშნის „გაბატონების“ ტენდენცია.

დავიმოწმებთ მაგალითებს.

-ი თემატურ ნიშანს ენაცვლება -ავ (ამ ტიპის ზმნათა შესახებ იხ. გოგოლაშვილი 2010: 318):

ასე მუუხოვ, აჰწევ, აწონავ (ქუაბაგი); ...ცომს გავხსნავთ, კადმალს გურევთ... (სადგიყანა); საქონელ ამუეფს, წველავს... (ელიასხევი); ხესა ათრევენ, მღერავენ... (ქუაბაგი)...

მღერის' ზმნა -ობ' თემის ნიშნითაც გვხვდება: არ ვხვარათავთ, არ ვღმერობთ (სავრიეთი).

ანალოგიური ფორმები გვხვდება აჭარულსა და შავშურში (იხ. სურმაჯა 1976: 12; ცინცაძე ფალავა 1998: 65; ფალავა და სხვ. 2017: 235; ფალავა და სხვ. 2011: 255).

-ავ' თემისნიშნისა ვყიდი' ზმნა:

...დუდურაებს ვკლავთა, ვჰყიდავთ (ქუაბაგი); ...არა ვჰყიდავთა, ედა, დათვები ჰამენ (ცუცეკარი); ...ვკლავთ, ვყიდავთ (წითლეკარი); ...არ ვყიდავ (წითლეკარი)...

-ავ' თემის ნიშანს დაირთავს ეს ზმნა შავშურშიც და მაჭახლურშიც, რომელსაც ისტორიული შავშეთის ნაწილად მივიჩნევთ (იხ. ფალავა და სხვ. 2011: 257; ფალავა და სხვ. 2017: 6; 234).

ყიდის' ზმნა და ზოგადად „ი ელემენტური ზმნები“ შავშურში უნიშნოდ, -ი', -ავ' და -ებ' სუფიქსებით გვხვდება (იხ. ფალავა და სხვ. 2011:257).

ყიდის' ფუძის ზმნას ტაოურშიც ერთვის -ებ' თემატური სუფიქსი, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა ყიდვას' (შეძენას') გულისხმობს (ამ მნიშვნელობით, უფრო ხშირად გამოიყენება აღება') და არა - გაყიდვას': ...მიღეთი ფართი იყიდებენ (ობლეკარი).

-ავ' თემისნიშნია **ჭრა'** ფუძის ზმნა:

ყაურმასაც **დასჭრავ** პეტერა-პეტერა (ქონობანი); ე ქელფეთი, თელე **ჭრავს** (ობლეკარი)...

ეს თავისებურება შავშურისთვის უცნობია (ამ მოვლენის შესახებ ქართულში იხ. უთურგაძე 1986:59-60; ფუტყარაძე 2016:298-299).

-ობ'ს ენაცვლება -ავ:

ზოგი მაღლიანია, არ შეჰჭამს, **ილოცავს...** (ბასლეკარი); ტბაში... ლამაზი გოგო **იბანავს** (ხევეკი)...

ტაოურში მედიოაქტიური ზმნა **ლაპარაკობს**, გვხვდება განსხვავებული ფუძითაც - **პარიკობენ'**:

სუყველა თურქა **პარიკობენ** (ცუცეკარი); დიდუანი **ვპარიკობთ** კილო გურჯიჯას, წვრილები აღარ **პარიკობენ** (ელიასხევი)...

შდრ.: დედედ და ნენედ **ლაპარიკობდენ** [ქართულად], მაშინ მთელი სოფელი **ლაპარიკობდა** (ბინათი)...

-ობ' თემისნიშნია ენაცვლება -ავ' თემისნიშნია - **იპარიკავს'**:

...**იპარიკავს** გურჯიჯა, არ **იპარიკავს** გურჯი არაა (ფიშნარხევი)...

დანაკლის ფორმათა შესავსებად კი ჩვეულებრივ -ებ' თემისნიშნია მოქმედებითი გვარის სათავისო ქცევის ფორმებს იყენებს:

დედეები **ილაპარიკებდეს**, ჩონც მოვისმინებდით (ქუაბაგი); ...რუმ ვერ **დეილაპარიკებს**, იქ მივა (ხევეკი)...

ვიპარიკობთ, **პარიკობენ** ფორმები თავდაპირველად ჩაითვალა ინდივიდუალურ თავისებურებად, ენის უცოდინარობის შედეგად მიღებულად (ცინცაძე 2002: 191), მაგრამ შემდგომში მოძიებულმა ემპირიულმა მასალებმა გვიჩვენა, რომ იგი სისტემებზე გვხვდება ტაოს მკვიდრთა მეტყველებაში და ამდენად, ტაოურის თავისებურებად შეიძლება ჩაივალოს.

-ებ' : -ავ: უჩუმრა მიეპარება, სავარცხელსა **დასტაცავს** (ხევეკი); **ევკი'დავთ** [გოდორს], ჭალა-ყანაში წევალთ, **მოვკი'დავთ**, მოვტანთ (ობლეკარი)...

-ავ' თემისნიშნია **ხმოვან-მონაცვლე ზმნები**:

მერე **მოვჭკრეფავთ** კაცებ ბიჭის თერეფიდან (ცუცეკარი); ...ხელ ვერ შეყოფ, **მოდრეკავს** (ხევეკი); ...ეს არ **ცვეთავს** თოკს (ქუაბაგი)...

...თუთა ამაში **დავჭკრეფავთ** (ქუაბაგი); ჩაირსა **ვკრიბავთ**, ძროხებ ვინახავთ (ქუაბაგი); თევზს კანჯადთ **ვიჭირავთ** (ფიშნარხევი); იქ სახლ რამ **დეიჭირავს**, თუ დურთში დადგება? (ქონობანი)...

როგორც ვხედავთ, **-ავ'** ერთვის პირველი სერიის - **ე'** ხმოვნთან ფუძესაც და მეორე სერიის - **ო'** ხმოვნთანაც. ჭარბობს მეორე რიგის შემთხვევები (ამ ფორმათა შესახებ იხ. ნოზაძე 1998: 225).

ფუძედრეკად ზმნებზე **-ავ/-ამ** თემის ნიშნის დართვა საერთოდ დამახასიათებელია ქართული ენის დიალექტებისათვის გარდა აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებისა (რ. ქურდაძე) - აღნიშნავს გ. გოგოლაშვილი და ამ პროცესს ორ საფეხურად წარმოგვიდგენს: „I ეტაპზე ხდება ე ხმოვნთან ფუძეებზე თემის ნიშნის დართვა: დრ-ეკ-ს> დრეკ-ავ-ს; ფაქტობრივ ამ შემთხვევაში ხდება ორმაგი დაპირისპირება I და II სერიის თემათა შორის (ხმოვანმონაცვლეობითა და თემის ნიშნით). დრეკ-ავ-ს – დრიკ-ა. ცხადია, ერთ-ერთი ჭარბია; ამიტომაც, რადგან ტენდენციაა **-ავ** თემის ნიშნის დართვა, გახმოვანებით დაპირისპირება მოიხსნება და ვიღებთ ცვლილების მეორე საფეხურს – დრიკ-ავ-ს. ე. ი.: დრეკ-ს>დრეკ-ავ-ს>დრიკ-ავ-ს (გოგოლაშვილი და სხვ. 2011: 672).

უთემისნიშნოს დაერთვის **-ავ**:

ჯერავენ, არ **ჯერავენ**, ჰამა დუნახიან ქი. ...არ **ჯერავენ** ქი (ელიასხევი); **ტეხავ** ამა, შიგანად იღებ... (ქუაბაგი); ამათ რატონ **სწერავთ** (ბინათი); რასმე **ვწერავთ**, მოვალ! (ხევეკი)...

სამხრული მეტყველებისთვის ნორმაა **წერს'** ზმნის **-ავ'** თემისნიშნის ფორმები.

მიუხედავად იმისა, რომ შეინიშნება **-ავ'** თემის ნიშნის გაბატონების ტენდენცია, ზოგჯერ მოსალოდნელი **-ავ'** არ არის:

რამაზ, აგი **იპრის**, მე არ **ვიპრი**... (ხევეკი); ქალი ფიქრობს, როდის **მეაპრის** ტარალს და წევა (ხევეკი)...

-ავ' თემის ნიშნის გარეშეა **თესავს'** ზმნა, რომელიც წარმოშობით ერთთემიანია (**შანიძე 1980: 389**): ფექ აქ არ **თესენ** იმას, ...ისენი ქომობა'ჩი **თესენ** (ობლეკარი).

-ავ'ს ენაცვლება **-ობ'**: არადა, შეშა **ურთობენ**, ჭაღებ აცხობენ (ბინათი).

-ავ:-ებ': ჯელაღინი ხალი **გედეახურეფ**, გიდიეყუღები ზედა (დუგური); ...იქა დუაჲ **ვიკითხებდით** (ქონობანი); დეკაცები ევდოდენ, **ილოცებდენ** (ელიასხევი).

ფუძემონაცვლე ზმნებს ერთვის თემის ნიშანი. **ებ'** თემის ნიშნიანია **მოიტანა** ზმნა: სხუა სოფლებიდან ფული დაჭირდებოდეს, **მეიტანებდენ** ოქრო... (ელიასხევი).

როგორც დავინახეთ, ტაოურშიც თემის ნიშანთა მონაცვლეობის არაერთი შემთხვევა დასტურდება, ამ მხრივ განსაკუთრებით პროდუქტიული **-ავ'** სუფიქსია, ზოგ ფუძესთან გაბატონებულია კიდევ (**წერავს**, **ყიდავს**...).

5. გვარი. ვნებითი გვარის ფორმათა წარმოება

ტაოურშიც ფართოდ არის გავრცელებული სამხრული მეტყველებისთვის დამახასიათებელი **ენიანი** ვნებითი **დონიანის** ნაცვლად:

არ **ეთხვება**, არიან, ჰამა, არ **ეთხვება** (ბინათი); ახლა ისე ადრე აღარ **ეთხოვიან**, გვიან **ეთხოვიან** (ხევეკი)...

მშია' ზმნის ვნებითი ძველი ქართულის მსგავსად **ე'ნიანია**: ისე მოით, **მეგეშშევათ** (ბინათი). (შდრ. ფალავა და სხვ. 2011: 258; ფალავა და სხვ. 2016: 560; ცინცაძე, ფალავა 1998: 62; ნიჟარაძე 1975: 150).

ცნობილია, რომ ვნებითი გვარის წარმოება შეიძლება ერთი ტიპიდან გადავიდეს მეორეში, ზოგჯერ ორივე ტიპის ფორმები ერთი და იმავე მნიშვნელობით პარალელურად იხმარება. ასეთია მაგალითად, **შეშინა'** და **შეშინდა'**, გვხვდება კონტამინირებული ფორმაც - **შეშინდა** (შანიძე 1980: 301-302). ტაოურში გვხვდება **დ'ონიანია შეშინდა**: ათ და ხუთი კაცი იყვნეს და **შეშინდენ** (ცუცეკარი). შდრ.: აჭარული (ნიჟარაძე 1975: 150).

ამ ფუძის მედიოპასიური **ეშინია'** პირველ თურმეობით აწარმოებს **-ებ'** თემის ნიშნით: **შინებთან** ხალხსა-ქი, ადგებთან, მოვდეს, ეფერებოდეს (ელიასხევი). შდრ.: ჰყვარებია, სძულებია (იხ. ამ ზმნათა შესახებ: შანიძე 1980: 307).

ძველი სალიტერატურო ქართულის მსგავსად **-ავ'** და **-ამ'** თემისნიშნისანი მოქმედებითი გვარის შესატყვისი ვნებითის ფორმებში **-ებ'** თემის ნიშნის ნაცვლად არის შეკუმშული **ავ'**, **-ამ'**:

...აყირო **მეხარშვის** წყალში (ცუცეკარი); სამ-ოთხ ხელად იტყვი, დუმანი **დეკარქვის** (წითლეკარი)...

შდრ.: ...ყოლ წელ იქაც **დეკლება**... (ქუაბაგი).

მოსალოდნელი **დეამალვის'** ნაცვლად არის **დეამალავს**: გოგო დედნახავს კავს, ჩეეფლობა [წყალში] და **დეამალავს** (ხევეკი).

-ავ' და **-ამ'** თემის ნიშნისანთა მსგავსად აწარმოებს ვნებითს ფუძედრეკადი ზმნებიც, ვინაიდან ისინი **-ავ'** თემისნიშნისანებში არიან გადარიცხული:

ჩუენი გურჯიჯა თქუენი არ **დეჭირვის**... (ბოწმინდა); ...ღმერთ ეხოწებთან, **ეკრიფვიან**, წევლენ (ელიასხევი).

დონიანი ვნებითის ფორმითაა (**უჭირ-დ-ებ-იან'**) წარმოდგენილი მედიოპასიური **უჭირს'**: ზაფხულში თელი აქ მოდიან, სიცხე **უჭირდებთან** (წითლეკარი). ერთპირიანი **ჭირს'** და მისთ. ზმნების შესახებ ა. შანიძე აღნიშნავს, რომ ისინი მარტო პირველ სერიაში, უმეტესად აწმყოს წრეში იხმარება (შანიძე 1980: 307).

ასევე **დ'ონიანი** ვნებითის ფორმითაც გვხვდება მედიოაქტიური ზმნა **ვმლერი'**, რომელიც **მლერავენ'**, **ვლმერობთ'** პარალელური ფორმებითაც დასტურდება: **გავმლერ-დ-ებ-ოდით** (**ვიმლერებდით**): კიდევ **გავმლერდებოდით**: თაროზე ყველი მაქვა... (სადგიყანა).

არქაული ფორმით - **უხარის'** დასტურდება სტატიკური ზმნა **უხარია'**: ამა **უხარის**, ნონამა თვალმა კრა (ხევეკი).

დინამიკურ **ეფარება'**ს ენაცვლება **უფრის'** (სტატიკური, შდრ. **უხარის'**): კუპრიეთი იქ არის, კილდე **უფრის** (ბასლეკარი).

იწიანი ვნებითით გადმოიცემა მოქმედების შესაძლებლობა (შეუძლებლობა):

ეს წყალი არ **შეძსმევა** (წითლეკარი); ...აქ აღარ **დეიდგუმლებაო**... (ქუაბაგი); აქ არ **დეარჩუმლებაო**, ქეშიშმა (ელიასხევი)...

6. მწკრივთა წარმოება

6.1. ვეტყვი', ვიტყვი' ზმნები, ისევე როგორც ძველ ქართულში, იხმარება აწმყოს მნიშვნელობით:

ახლა მე ვეტყვი ჩემ ბიჭსა; ჩუენ „ბგანო“ ვეტყვით, თქუენ - გოგო (ბოწმინდა); ...აქ ბგანო ვიტყვით (იეთი); ერთი კილდე არი და იმა ბინათ ეტყვიან (ობლეკარი). (შდრ. ფუტკარაძე 2016: 301).

6.2. -ავ' და -ამ' თემისნიშნიან მოქმედებითი გვარის ზმნებს, ძველი ქართულის მსგავსად, აწმყოსა და მყოფადის მესამე პირის მრავლობითი რიცხვის ფორმებში ეკუმშება თემის ნიშნისეული ხმოვანი, ეს მოვლენა საერთოდ დამახასიათებელია სამხრული მეტყველებისათვის (იხ. ცინცაძე, ფაღავა, 1998: 67; ფაღავა და სხვ. 2011: 259; ფაღავა და სხვ. 2016: 561; ფაღავა და სხვ. 2017: 237; ნიჭარაძე 1975: 147). დავიმოწმებთ მაგალითებს:

პურს აღარ თესვენ (იეთი); ...მოზობლები თიბვენ (ობლეკარი); ...[ოჯალი] ვერ ააშენეს, ახლა ზიბილებ წვენ (წუ-ავ-ს, წუ-ვ-ენ>წ-ვ-ენ) (ბინათი)... ღორს არ შჭამენ და ღვინოს სმენ (ობლეკარი); ...დუგუნებში სმიდეს და უსკმენ მერე (ხევეკი)...

ამ წესს ემორჩილება -ავ' თემისნიშნიანი საშუალი გვარის ზმნაც: ...სხენან და ბრუნვენ (ბოწმინდა).

ასევეა სხვა ზმნებშიც, რომლებშიც -ავ' ერთვის ათემატურ ზმნას ან ენაცვლება სხვა თემის ნიშანს:

ქალოცაჲ ყურმენ კრეფვენ (წითლეკარი); [გზას] ახლა აფაქვენ, უწინ დაყაფანდებოდა (წითლეკარი).

ზოგჯერ ერთი პირის მეტყველებში ერთმანეთის გვერდით გვხვდება პარალელური წარმოება: ჭალები ერთი-ორჯერ თიბავენ, მემრე ძროხები მოძოვენ, კაჲ ალაგებ მოთიბვენ...

6.3. როგორც ცნობილია, ძველ ქართულში -ავ და -ამ თემისნიშნიანი ზმნები პირველი სერიის სავრცობიან მწკრივებს თავისებურად აწარმოებდა: უწყვეტლის პირველსა და მეორე პირებში თემის ნიშნისეული ხმოვანი -ა' იცვლებოდა -ე'თი, მესამე პირის ფორმებში -ო' ხმოვნით უკავშირდებოდა დ' სავრცობს და ვლებულობდით -ვიდ/-მიდიან ფორმებს, რომელიც გადადიოდა უწყვეტლის ხოლმეობითისა და პირველი კავშირებითის ყველა პირში (შანიძე 1976: 94).

შავშურსა და კლარჯულში ძველი ქართულის ეს წესი დაცულია პირველი და მეორე პირების შემთხვევაში, ხოლო რაც შეეხება მესამე პირს, ყველგან ე' ხმოვნიანი წარმოება დასტურდება, იშვიათია -ვიდ, -მიდიანი ფორმები (იხ.ფაღავა და სხვ. 2011: 259; ფაღავა და სხვ. 2016: 561; ფაღავა და სხვ. 2017: 236).

არნ. ჩიქობავას -ევდ და (ა)ვ-ი-დ სხვადასხვა დიალექტური წრისად მიაჩნია და ფიქრობს, რომ სათანადო დიალექტებში ყველა პირში უნდა ყოფილიყო ევ-დ ვარიანტიც და ვ-იდ (ჩიქობავა 1964: 129). (ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. ლ. კიკნაძის მოსაზრება: კიკნაძე 1947: 317-344).

ტაოურში პროდუქტიულია სამივე პირში -ვიდ, -მიდიანი წარმოება, თითო-ოროლა შემთხვევაა-ევდ, -ემდ პარადიგმისა. დავიმოწმებთ მაგალითებს (ბუნებრივია, ვასახელებთ იმ ზმნებსაც, რომლებშიც -ავ', -ამ' თემის ნიშნებმა დაიმკვიდრეს ადგილი და უღლების ამ წესს მიჰყვებიან):

-ვიდ, -მიდ: პირველი პირი:

კალოზე მოვტანდით, გავლენვიდით, წისქვილში გომოვფქვიდით... (ობლეკარი); ეს ძველებური, ამაზე ვბურვიდით (ქუაბაგი); ...ყანა დავთესვიდით... (ქონობანი); მატყლი გავპარსვიდით (ქუაბაგი)... კალოზე ქერი, დიკა... ვლენვიდით(<ვლენვიდით) (ქუაბაგი); ქვა

ცხენით არ ვზიდიდით (<ვზიდვიდით), ცხენით შეშა ვზიდიდით (ქუაბაგი); ...აქო... დავკლიდით (<დავკლვიდით) ყურბნებ (ქუაბაგი); თივას მოვჭრიდით, მალეზ, ძროხას მუართმიდით (ხევეკი)...

მეორე პირი: ...აგი - სახვნელი, მოთერძვიდი (ელიასხევი)...

მესამე პირი: თიხა ურევდა, დაჯეჯგვიდა, დაჯეჯგვიდა... (ბასლეკარი); ამა მოთოკვიდა კაცი (ქუაბაგი); ვერ იპუა ქია, მოხკლიდა (<მოხკლვიდა) ფინთი'ა (მოსლიეთი)... ძროხა დაჰკლიდეს (<დაჰკლვიდეს), ჯარ დაჰკლიდეს... (ფიშნარხევი)... პურ მედწევდეს, მოგლეჯვიდენ (ფიშნარხევი)... ირანელები იყვნეს, უშექროს სმიდეს (წითლეკარი); ... პურ მიართმიდეს (ფიშნარხევი)...

-ევდ, -ემდ:

პირველი პირი: იმხნა ნეკერი ვდგემნით (ბალხიბარი); ქერი, ცერცვი... ვთესევდით (იეთი)...

მესამე პირი: რაეზი რომ ისხემდა, ერთი თანე არ არი ახლა (ბინათი).

როგორც ვხედავთ, მეორე პირის ფორმები არ შეგვხვედრია, თუ არ ჩავთვლით ერთ შემთხვევას (იხ. ზემოთ: მოთერძვიდი), ისიც აქ განზოგადებული პირი იგულისხმება და არა თანამოსაუბრე - მეორე პირი. ამ ფაქტს ლ. კიკნაძე იმით ხსნის, რომ „წარსული დროის გამომხატველი მეორე პირის ფორმები საერთოდ ნაკლებად იხმარება“ (კიკნაძე 1961: 261; იხ. ასევე: ფალავა და სხვ. 2011: 259).

ერთგან დადასტურდა პარალელური -ავ და ვიდ ერთი პირის მეტყველებაში: ქალოცას ამ ყანებ ძირ დათესავდეს... პურ მედწევდეს, მოგლეჯვიდენ (ფიშნარხევი).

-ავ'იანი ფუძისგან ჩანს ნაწარმოები ინახდა' (<ინახავდა - ავ'-ის დაკარგვით), თუმცა შეიძლება დაშვება, რომ ინახდა <ინახვიდა'საგან <ვ(ი)-ს დაკარგვით, რადგან ტაოურში უფრო ეს უკანასკნელია გავრცელებული.

შეიძლება ითქვას, რომ სამხრულ მეტყველებაში ჩამოყალიბებულია ორივე სახის პარადიგმა: სამივე პირში -ევდ და ასევე სამივე პირში -ვიდ (ამ ფორმათა შესახებ იხ.: სარჯველაძე 1984: 447-449; ცინცაძე, ფალავა 1998: 68-69). ტაოურისთვის დამახასიათებელია -ვიდიანი წარმოება.

6.4. -ე სუფიქსიან წყვეტილს პირველი და მეორე პირის ფორმებში ერთვის -ვი' დაბოლოება. ასეთი ფორმები ჩვეულებრივია საშუალი ქართულისათვის. ზ. სარჯველაძე იმოწმებს მაგალითებს X-XI-XII საუკუნეების ძეგლებიდან: „წრვლად ნაწერისათჳს შემინდევით; ...მიიღეთ ესე, და წარვედით და დაასევით ადგილსა მას...“ მას ეს მოვლენა დიალექტიზმად მიაჩნია (სარჯველაძე 1984: 116). -ე' სუფიქსის გენეზისის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში განსხვავებული შეხედულებაა (დაწვრილებით იხ. ფალავა და სხვ. 2011: 262-263).

...ესენი მასკვან ევლევით (წითლეკარი); ...წამალიც ევლევით, შევჭამეთ (ქუაბაგი); გენჯობაში ვიარებოდით, ახლა გავავდევით... (ქუაბაგი)...

ასეთი ფორმები დამახასიათებელია სამხრული მეტყველებისათვის (იხ. ფალავა და სხვ. 2011: 262-263; ფალავა და სხვ. 2016: 561-562; ფალავა და სხვ. 2017: 239; ცინცაძე, ფალავა 1998: 73-74; ნიჟარაძე 1975: 148...).

დასკვნა

თქმილიდან ჩანს, ზმნურ ფორმათა წარმოების მხრივ ტაოურ დიალექტს საინტერესო სურათი შემოუნახავს. გარდა ზემოაღნიშნულისა, სხვა არაერთი საინტერესო ფორმა გვხვდება ტაოურში. ყველაფერი ერთად დასტურია, რომ ტაოური ქართული ენის კარგად გამოკვეთილი ქვესისტემაა.

გამოყენებული ლიტერატურა

ბარამიძე 2015 – მაია ბარამიძე, ზმნურ ფუძეთა წარმოებისათვის კლარჯულში, ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართველოლოგიის ცენტრი, კრებული, X, გამომცემლობა „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2015.

გოგოლაშვილი 2010 – გიორგი გოგოლაშვილი, ქართული ზმნა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2010.

გოგოლაშვილი და სხვ. 2011 – გიორგი გოგოლაშვილი, ავთანდილ არაბული, მურმან სუხიშვილი, მარიამ მანჯგალაძე, ნინო ჭუმბურიძე, ნინო ჯორბენაძე, თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, სალიტერატურო ენა, გიორგი გოგოლაშვილის საერთო რედაქციით, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011.

იმნაიშვილები, 1996 – ივანე იმნაიშვილი, ვახტანგ იმნაიშვილი, ზმნა ძველ ქართულში, გამომცემლობა „Alle Rechte vorbehalten Copyright“, Frankfurt a/M, 1996.

კიკნაძე 1947 – ლევან კიკნაძე, პირველი სერიის მწკრივთა წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები, თსუ შრომები, 30b – 31b, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, თბილისი, 1947.

კიკნაძე 1961 – ლევან კიკნაძე, უწყვეტლის ხოლმეობითის მწკრივი ძველ ქართულში, თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 7, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, თბილისი, 1961.

მ. – სახარებად მათედსი. ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, აკაკი შანიძის რედაქციით, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, თბილისი, 1945.

ნათაძე 1959 – ნოდარ ნათაძე, თემის ნიშნები ქართველურ ენებში, იკე, XI, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1959.

ნიჟარაძე, 1975 – შოთა ნიჟარაძე, აჭარული დიალექტი. გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“ ბათუმი, 1975.

ნოზაძე, 1998 – ლამარა ნოზაძე, ხმოვანმონაცვლე ზმნათა წარმოების ზოგი საკითხი ქართულში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, VII, გამომცემლობა „ქართული ენა“, თბილისი, 1998.

რუსუდ, 51 – „რუსუდანანი“, ილ. აბულაძისა და ივ. გიგინეიშვილის რედაქციით, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი. 1957.

სარჯველაძე 1984 – ზურაბ სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი. გამომცემლობა „განათლება“, თბილისი.

სინ. – სინური მრავალთავი, აკაკი შანიძის რედაქციით, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ. 1959.

სურმავა 1976 – ნარგიზა სურმავა, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკიდან, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, I, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1976.

სურმავა 1989 - ნარგიზა სურმავა, ზმნის პირთა რიცხვის აღნიშვნის ისტორიიდან (XVI-XVIII სს ქართული საბუთების მიხედვით). იკვ, XXVIII, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1989.

უთურგაიძე 1986 – თედო უთურგაიძე, ქართული ენის სახელის მორფონოლოგიური ანალიზი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1986.

ფარტენაძე 2014 – ნათელა ფარტენაძე, პირის ნიშნები და პირთა კომბინაციები კლარჯულში, ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართველოლოგიის ცენტრი, კრებული VIII, გამომცემლობა „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2014.

ფაღავა 2014 – მამია ფაღავა, თემის ნიშანთა მონაცვლეობა კლარჯულში, ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართველოლოგიის ცენტრი, კრებული, IX, გამომცემლობა „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2014.

ფაღავა და სხვ. 2011 – მამია ფაღავა, თინა შიოშვილი, შოთა მამულაძე, მერი ცინცაძე, მალხაზ ჩოხარაძე, ზაზა შაშიკაძე, ნუგზარ ცეცხლაძე, თამაზ ფუტკარაძე, მათა ბარამიძე, ჯემალ კარალიძე, ვარდო ჩოხარაძე, შავშეთი, გამომცემლობა „ჰოროსი XXI“, თბილისი, 2011.

ფაღავა და სხვ. 2016 - მამია ფაღავა, მერი ცინცაძე, მათა ბარამიძე, მალხაზ ჩოხარაძე, თინა შიოშვილი, შოთა მამულაძე, რამაზ ხალვაში, ნუგზარ მგელაძე, ზაზა შაშიკაძე, ჯემალ კარალიძე, კლარჯეთი, გამომცემლობა „სამშობლო“, თბილისი, 2016.

ფაღავა და სხვ. 2017 – მამია ფაღავა, მერი ცინცაძე, მალხაზ ჩოხარაძე, თინა შიოშვილი, მათა ბარამიძე, ზაზა შაშიკაძე, ნუგზარ მგელაძე, რუსლან ბარამიძე, ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლები თანამედროვე თურქეთში, წიგნი პირველი, მაჭახლელი მუჰაჯირები, გამომცემლობა „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2017.

ფუტკარაძე, 2016 – შუშანა ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, წიგნი მეორე, გამომცემლობა „აჭარა“, ბათუმი, 2016.

შანიძე, 1980 – აკაკი შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი III, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1980.

ცეცხლაძე 2014 - ნანა ცეცხლაძე, ინვერსიულ ზმნათა თავისებურებანი კლარჯულში, ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართველოლოგიის ცენტრი, კრებული IX, გამომცემლობა „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2014.

ცინცაძე 2002 – მერი ცინცაძე, ტაოური ქართულის ზოგი თავისებურება (წინასწარი მოხსენება), ბსუ, მემედ აბაშიძის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, კრებული II, გამომცემლობა „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2002.

ცინცაძე, ფაღავა 1998 – მერი ცინცაძე, მამია ფაღავა, სამხრული დიალექტები და ქართული სამწერლობო ენა (V-XVIII სს), გამომცემლობა „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი, 1998.

ჯორბენაძე 1989 - ჯორბენაძე ბესარიონ, ქართული დიალექტოლოგია I, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1989.

საკვანძო სიტყვები: ტაო, დიალექტი, ზმნის პირი, რიცხვი, გვარი.